შპს „სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის“

პედაგოგთა საბჭოს დებულება

მიღებულია : პედაგოგიური საბჭოს მიერ
08.09. 2021 წ ოქმი N 1

დამტკიცებულია
სკოლის დირექტორის მიერ
ბრძ. N 04-03/04

ბათუმი
10.09. 2021 წელი

მუხლი 1 . ზოგადი დებულებანი

1.1 შპს „სკოლა ლიცეუმ მასტერკლასის“ პედაგოგთა საბჭოს დებულება შემუშავებულია საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ საფუძველზე.

1.2 სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანოს, პედაგოგთა საბჭოს დებულებას უმრავლესობის გადაწყვეტილებით იღებს პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

1.3 ამ დოკუმენტით განსაზღვრული მუშაობის წესი სავალდებულოა სკოლის ყველა მასწავლებლისათვის.

1.4 სკოლის პედაგოგთა საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს კრების მეშვეობით, საქართველოს "კანონზე ზოგადი განათლების შესახებ" და სკოლის შიდა აქტებზე დაყრდნობით.

მუხლი 2 . ტერმინთა განმარტება

2.1 ამ დებულების მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პედაგოგიური საბჭო – სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის უმაღლესი ორგანო;

ბ) პედაგოგიური საბჭოს წევრი -- მასწავლებელი, მასწავლებლობის მაძიებელი, მოწვეული მასწავლებელი, სტატუსგარეშე დარჩენილი მასწავლებელი,რომელთანაც შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასს“ და ამავე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები;

გ) პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე -- პირი, რომელიც სკოლაში ხელმძღვანელობს პედაგოგიურ საბჭოს.

დ) პედაგოგიური საბჭოს მდივანი - პედაგოგიური საბჭოს წევრი, რომელიც 1 (ერთი) წლის ვადით აირჩევა პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობიდან;

ე) პედაგოგიური საბჭოს ოქმი – ოფიციალური დოკუმენტი სადაც შეიტანება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებები.

მუხლი 3. სკოლის პედაგოგთა საბჭოს მოწვევა და უფლებამოსილება

3.1 სკოლის პედაგოგთა საბჭოს სხდომის მოწვევა ხდება სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ 4-ჯერ, სკოლის ადმინისტრაციის ან/და სკოლის პედაგოგთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

3.2 პედაგოგთა საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნას სკოლის დამფუძნებელთა საბჭოს, სკოლის ადმინისტრაციის, სკოლის პედაგოგთა არანაკლებ 1/3 -ის ინიციატივით და მშობელთა კომიტეტის მიერ;

3.3 სკოლის პედაგოგთა საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება სკოლის პედაგოგთა საბჭოს არანაკლებ ნახევარზე მეტი;

მუხლი 4. სკოლის პედაგოგთა საბჭოს უფლებამოსილება

4.1 პედაგოგთა საბჭო იხილავს და იღებს სკოლის მართვა- განვითარებასთან და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივ დოკუმენტს (შინაგანაწესს, დებულებებს, 6 და 1 წლიან სასწავლო გეგმებს, და ა.შ) .

4.2 იხილავს საინვენტარიზაციო კომისიების ანგარიშებს და ამტკიცებს სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე სხ/სხ მიმართულებით მომუშავე მონიტორინგის ჯგუფების ნუსხას;

4.3 ამტკიცებს კლასის ხელმძღვანელებიებს (კათედრის წარდგინების საფუძველზე), კათედრის თავმჯდომარეებს, კლასის კოორდინატორებს (აღმზრდელებს) და სკოლის ბაზაზე მოქმედი წრეების ხელმძღვანელებს;

4.4 პედაგოგთა საბჭო შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო საკითხებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

4.5 საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს სასწავლო-საგანმანათლებლო მასალას. მათ შორის, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას;

4.6 განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს სკოლის უსაფრთხოების სტრატეგიულ გეგმებთან დაკავშირებით. იცავს სკოლის ინტერესებს, გეგმავს სკოლის განვითარებას, განსაზღვრავს მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების ორგანიზაციის შინაარსს, მეთოდებს, საშუალებებსა და ფორმებს;

4.7 პედაგოგთა საბჭოში მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ქმნის ცალკეული სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.

მუხლი 5. სკოლის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე/ სხდომის მდივანი

5.1 შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის პედაგოგთა საბჭოს თავმჯდომარე არის სკოლის დირექტორი.

5.2 პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებია:

ა) პედაგოგიური საბჭოს სხდომების მოწვევა(დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და საბუთების წარმოება);

ბ) პედაგოგიური საბჭოს სხდომის წარმართვა;

გ) პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლი;

5.3 შპს „ სკოლა -ლიცეუმ მასტერკლასის“ პედაგოგიური საბჭოს მდივანი 1 (ერთი) წლის ვადით აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით;

5.4 პედაგოგიური საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის შეუფერხებლად ჩატარებისთვის შესაბამისი გარემოს მომზადებას;

ბ) რეგისტრაციაში ატარებს სხდომაზე , წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ პირებს;

გ) სხდომის მიმდინარეობისას ინიშნავს და შემდგომი განსახილვისათვის წარუდგენს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს;

დ) უზრუნველყოფს ღია კენჭისყრის ჩატარებას;

ე) ახორციელებს პედაგოგიური საბჭოს საქმისწარმოებას;

ვ) ასრულებს სხდომის თავჯდომარის მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. სკოლის პედაგოგთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

6.1 პედაგოთა საბჭოში ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით;

6.2 პედაგოგთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით (50 + 1). ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის პედაგოგიური საბჭოს თამჯდომარეს. თუ პედაგოგიური საბჭოს თამჯდომარე არ ეთანხმება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებს, მას უფლება აქვს ვეტო დაადოს გადაწყვეტილებას და მოითხოვოს საკითხის სხვა დროს განმეორებით განხილვა. განმეორებით განხილვად საკითხზე კვლავ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, საკითხზე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ღებულობს დამფუძნებელთა საბჭო .

6.3 პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია 2 (ორი) დღის ვადაში მიეწოდება სკოლის მართვის ორგანოებს;

მუხლი 7. პედაგოგიური საბჭოს საქმისწარმოების წესი

7.1 პედაგოგიური საბჭო აწარმოებს თავის საქმიანობას წინამდებარე დებულების თანახმად.

7.2 პედაგოგიური საბჭო აწარმოებს სხდომების ოქმებს, რომლებიც იდება სკოლის ნომენკლატურული ნუსხით კოდირებულ (დანომრილ) საკანცელარიო საქაღალდეში (ბაინდერში).

7.3 პედაგოგიური საბჭოს ოქმები საბჭოს ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარედგინება სკოლის დირექტორს. ყოველ ოქმში აღინიშნება თარიღი და ნომერი, დანართის სახით დამსწრეთა გვარი, სახელი სწრებადობის ხელმოწერით დადასტურებული და სხდომის დღის წესრიგი. ოქმს ხელს აწერს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

7.4 პედაგოგიური საბჭოს ოქმების საკანცელარიო საქაღალდე ინახება სკოლის ადმინისტრაციაში საქმეთა მმართველთან.

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები

8.1 შპს „ სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის“ პედაგოგიური საბჭოს დებულებაში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ;

8.2 ცვლილებების და დამატებები მიიღება ღია ან დახურული კენჭისყრით, რის გადაწყვეტილებასაც კრება იღებს საკითხიდან გამომდინარე;

8.3 გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტმა (50+1) .